პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
სამშაბათი
16
დეკემბერი
№ 292
(16418)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

KOMUNISTI—
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია გაიხსნება 1975 წლის 17 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 16 დეკემბერს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ოთახები № 1, № 4. ტელეფონები: 99-08-54, 99-58-19, 99-56-19.

17 დეკემბერს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1975 წლის 17 დეკემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

კომუნიზმის მშენებლობის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი

ჩვენი პარტია და ხალხი მონოლითური ერთიანობით ეგებებიან სკკპ XXV ყრილობას. ამ დიდი ისტორიული მოვლენისათვის მზადებას ახალი დიდმნიშვნელოვანი ფაზა დაეწყო. გუშინ გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ „სსრ კავშირის ხალხური მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“ და თვით პროექტი. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოეწყოს პროექტის განხილვა პარტიულ ორგანიზაციებში, მშრომელთა კრებებზე და პრესაში.

ამ ღრმად მეცნიერულ, ყოველმხრივ დამუშავებულ და დასაბუთებულ დოკუმენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი განსახიერებს პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს, თანამედროვე ეტაპზე მისი ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპულ დებულებებს, ამასთან შეიცავს ქვეყნის შემდგომი პროგრესის ვრცელ რეალისტურ პროგრამას, რომელიც მთლიანად შეეხებამება ხალხის ძირეულ საარსებო ინტერესებს. უახლოესი ხუთწლეულის პერსპექტივები დასახულია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონისა და დღევანდელი მოთხოვნების მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე.

„მეტიცედ შეგვიძლია ვთქვათ, — აღნიშნა დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ მომავალი ყრილობა დასახავს ახალ დიდმნიშვნელოვან მიჯნებს ამ დიდი მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე, რომლებისთვისაც იბრძვის ჩვენი პარტია, რომელთა მიღწევას ვახმართ მთელ ჩვენს ძალებს“. ეს მიჯნები მკაფიოდ არის მონიშნული სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა პროექტში.

პარტიის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად ახალი, უფრო დიდი ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო პირობები შეიქმნა მეცხრე ხუთწლედის წლებში, როცა ჩვენი სამშობლო დაწინაურდა კომუნისტური აღმშენებლობის ყველა მიმართულებით. ახორციელებს რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია იმას, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. უზრუნველყოფილია მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობა. საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად იხვეწებოდა სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. კიდევ უფრო განმტკიცდა მისი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურღვევი თანამეგობრობა. საგარეო პოლიტიკის, პარტიის XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციის თვალსაჩინო წარმატებათა შედეგად განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები, თანამშრომლობა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, ამრიგად, სსრ კავშირში აშენებულმა განვითარებულმა სოციალისტურმა საზოგადოებამ კვლავ ცხადყო თავისი უდიდესი შესაძლებლობანი და უპირატესობანი.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისას კომუნისტური პარტია ეყრდნობა მიღწეულ წარმატებებს და მასების მზარდ შემოქმედებითს აქტივობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში მეათე ხუთწლედი დახასიათებულია როგორც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების, სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარების ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი. ეს არის საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერების, ეროვნული სიმდიდრის გადიდებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის სახალხო მეურნეობის შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების პერიოდი.

„მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობის ხარისხის ყოველნაირი გაუმჯობესების საუფლებლზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელებაზე“, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში პარტიის XXV ყრილობისათვის.

ამის საფუძველზე პარტიას საჭიროდ მიაჩნია უზრუნველყოფა საზოგადოებრივი წარმოების მყარი ზრდა და მისი სტრუქტურის სრულყოფა; განვახორციელოთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემა; უზრუნველყოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველნაირი ზრდა და ინტენსიფიკაცია, გავაძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი სახალხო მეურნეობაში; დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი; სრულყოფოთ სახალხო მეურნეობის მართვა; შეეიმუშაოთ და განვახორციელოთ გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი; თანმიმდევრულად განვავითაროთ და გავაღრმაოთ ყოველმხრივი თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან. ხელი შეეწყოთ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტში აღნიშნულია ამ მიზნების მიღწევის კონკრეტული გზები. იგი განაზოგადებს განვითარების მიმართულებებსა და ქვეყნის ეკონომიკის დარგებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის, შრომელთა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების, საწარმოო ძალების განლაგების, საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების საკითხებს.

დასახული მიჯნების წარმატებით მიღწევა უწინარეს ყოველისა დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მისი ზრდის დაჩქარებას — წარმოების განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გადამწყვეტ პირობას. ეროვნული შემოსავლის მატების 85-90 პროცენტი მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. მრეწველობაში იგი უნდა გაიზარდოს 30-34 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 27-30 პროცენტით, მშენებლობაში — 29-32 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 18-20 პროცენტით.

თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საფუძველზე დაგეგმილია მთელი ჩვენი ეკონომიკის შემდგომი განვითარება. მისი წამყვანი ძალის — სოციალისტური ინდუსტრიის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვან პროდუქციაზე, უზრუნველყოთ წარმოების ტექნიკური განახლება და ინტენსიფიკაცია ყველა დარგში. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ხუთწლეულის მანძილზე მოიმატებს 35-39 პროცენტით, მათ შორის წარმოების საშუალებისა — 38-42 პროცენტით და მოხმარების საგნებისა — 30-32 პროცენტით. ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზრდება 1,4-ჯერ, ამასთან თანმიმდევრულად გადიდდება მათი აქტიური ნაწილის — მანქანებისა და მოწყობილობის წილი. ზრდის მასშტაბს მკვეთრადაა ასეულად მოწმობენ ციფრები: 1980 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება მიაღწევს 1.340-1.380 მილიარდ კილოვატ-საათს, ნავთობის მოპოვება, გაზის კონდენსატთან ერთად, გაიზრდება 620-640 მილიონ ტონამდე და ქვანახშირისა — 790-816 მილიონ ტონამდე, ფოლადის გამოდნობა — 160-170 მილიონ ტონამდე, ქსოვილების წარმოება — 12,5-13,1 მილიარდ კვადრატულ მეტრამდე და ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 1.800-1.900 მილიონ ცალამდე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობის, მისი საბობ-ენერგეტიკული სტრუქტურის სრულყოფას, იმ დარგების წილის გადიდებას, რომლებიც ყველაზე მეტად განსაზღვრავენ ტექნიკურ პროგრესს, — ეს არის მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური ინდუსტრია, ელექტროენერგეტიკა. გათვალისწინებულია პროგრესულ, ეკონომიკურ სახეობათა მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების წარმოების გაფართოება, პროდუქციის სისტემატური განახლება, მისი ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლება, ნაკეთობათა საექსპლოატაციო და სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესება. უნდა განვაგრძოთ წარმოების კონცენტრაცია, გავაძლიეროთ მისი სპეციალიზაცია, ფართოდ დავნერგოთ პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, გავაძლიეროთ მოთხოვნა ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვისადმი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში ახალი ეტაპი გულისხმობს ინდუსტრიის ინტენსიური განვითარების ორგანულ შეხამებას სოფლის მეურნეობის განუწყვეტელ აღმავლობასთან. მომავალ ხუთწლეულში ამ დიდმნიშვნელოვანი დარგისათვის მთავარია უზრუნველყოთ წარმოების შემდგომი ზრდა და მეტი სტაბილუ-

ПРАВДА
15 დეკემბრის მოწინავე

რობა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ეფექტიანი ყოველნაირი ამაღლება, რათა უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი სურსათ-სანოვაგეზე და მრეწველობისა — ნედლეულზე, შეეკმნათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საჭირო სახელმწიფო რეზერვები. გათვალისწინებულია ამ პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიური მოცულობა გავადიდოთ 14-17 პროცენტით, მარცვლეულის საშუალო-წლიური მთლიანი მოსავალი უნდა გავზარდოთ 215-220 მილიონ ტონამდე, ხამი ბამბისა — სულ ცოტა 9 მილიონ ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 95-98 მილიონ ტონამდე, ხორცის წარმოება — 15-15,6 მილიონ ტონამდე, რძისა — 94-96 მილიონ ტონამდე, კვერცხისა — 58-61 მილიარდ ცალამდე.

ასეთი მაღალი მაჩვენებლების მიღწევას ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების დიდი ღონისძიებანი. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა საწარმოო პროცესების, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მიწების მელიორაციის გაფართოებას, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილებას დანერგვას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ბაზაზე, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებებისა და საწარმოების შექმნას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გალანგების გაუმჯობესებას. ამასთან ხაზგასმულია, რომ უნდა უზრუნველყოთ მისი განვითარების სწრაფი ტემპი რუსეთის სფსრ არაშავნიადაგიან ზონაში. სოფლის მეურნეობას მოხმარდება უზარმაზარი კაპიტალური დაბანდებანი — ეს ხამოცდაათ მილიარდ მანეთზე მეტი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 1.900 ათას ტრაქტორს, 1.350 ათას სატვირთო ავტომობილს, 538 ათას მარცვალსალეგ კომბაინს, დიდძალ სხვა მანქანა-იარაღებს, მინერალურ სასუქებს, ქიმიურ საკვებ დანამატებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებს.

ხალხის ინტერესებისათვის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მთელი სოციალისტური ეკონომიკისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა კიდევ უფრო სრული და დროული დაკმაყოფილებისათვის გათვალისწინებულია არსებითად ამაღლდეს ტრანსპორტის სიმძლავრე და მუშაობის ხარისხი, აგრეთვე გაუმჯობესდეს სატრანსპორტო კავშირი ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებს შორის.

ჩვენი ეკონომიკური განვითარების მასშტაბებსა და ტემპებს ბევრად განსაზღვრავენ კაპიტალური მშენებლობის ტემპი და ხარისხი, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა. ხუთწლეულის მანძილზე ისინი 24-26 პროცენტით გაიზრდება. რაციონალურად გამოვიყენოთ ეს უზარმაზარი სახსრები, უზრუნველყოთ ძირითადი ფონდების შემდგომი გადიდება და ხარისხობრივი სრულყოფა, რაც შეიძლება სწრაფად ავამოქმედოთ და ავითვისოთ ახალი საწარმო სიმძლავრეები. არსებითად შევამცეროთ მშენებლობის ვადები და ღირებულება — ასეთია ამოცანა, რომელსაც პარტია გვისახავს. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭიროა თვით მოვუყაროთ კაპიტალურ დაბანდებებს, მატერიალურ და შრომითს რესურსებს, ავამაღლოთ ინდუსტრიალიზაციის დონე, გავაუმჯობესოთ სამშენებლო წარმოების დაგეგმვა და ორგანიზაცია.

ხუთწლედისათვის გათვალისწინებული ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდა მოითხოვს მათს უკეთ განლაგებას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთი რაიონების ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და მათი როლის ამაღლებას სამრეწველო პროდუქციის საერთო-საკავშირო წარმოებაში. უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკისა და ეკონომიკური რაიონის, ავტონომიური ოლქისა და ეროვნული ოკრუგის ეკონომიკის ახალი აღმავლობა.

საგეგმო დავალებებთან მტკიცე კავშირით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი განსაზღვრავს იმას, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს საბჭოთა მეცნიერების როლი ბუნებისა და საზოგადოებრივის კანონზომიერებათა კვლევაში, მისი წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლების საერთო საქმეში. იგი მეცნიერთა ყურადღებას მიაპყრობს მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომელთა გადაჭრაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეკონომიკის, კულტურისა და თვით მეცნიერების წარმატებით განვითარება.

ყველაფერი, რასაც პარტია სახავს მომავლისათვის, ისევე როგორც ყოველივე ის, რასაც იგი დღეს ახორციელებს, კეთდება საბჭოთა ადამიანებისათვის, მათი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის. ეკონომიკის ზრდიდა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ბაზაზე მეათე ხუთწლეულში კიდევ უფრო სრულად უნდა დავაკმაყოფილოთ მშრომელთა გაზრდილი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი 20-22 პროცენტით გადიდდება. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 16-18 პროცენტით გაიზრდება და ხუთწლედის დამლევისათვის შეადგენს თვეში სულ ცოტა 176 მანეთს, კოლმეურნეთა შემოსავალი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობიდან საშუალოდ 24-27 პროცენტით ამაღლდება. ამასთან ერთად მოსახლეობა მიიღებს 28-30 პროცენტით მეტ დახმარებასა და შეღავათებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან. ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სანიაო მშენებლობის დიდი მასშტაბი და საცხოვრებელი ბინების ხარისხის გაუმჯობესება.

პარტიის სოციალურ პროგრამაში დიდი ადგილი უკავია ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ყველაზე ხელშემწყობი პირობები შექმნას საბჭოთა ადამიანების შრომისა და დასვენებისათვის, მათი განათლებისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, ბავშვების აღზრდისათვის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა თანმიმდევრული კეთილდღეობისა და კულტურის დონის დაახლოებისათვის, აშენდება ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სულ ცოტა 7 მილიონი მოსწავლისათვის, გაფართოვდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი, რომლებიც მოამზადებენ დაახლოებით 11 მილიონ კვალიფიციურ მუშას. ცხრა მილიონ ნახევარზე მეტ სპეციალისტს გამოუშვებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები. ბევრი რამ გაკეთდება მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების როლის შემდგომი ამაღლებისათვის, მათი სულიერი მოთხოვნილებების ჩამოყალიბებისათვის.

ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ზრდა, რომელსაც ჩვენი პარტია სახავს ხუთწლეულისათვის, კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა კავშირის როლსა და ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ხელს შეუწყობს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან სამეურნეო და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის ყოველმხრივ განვითარებას. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს, სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მრავალმხრივი ინტეგრაციული ღონისძიებების შეთანხმებული გეგმის შესრულებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“ ქვეყანას უსახავს ახალ ჰორიზონტებს, შთამაგონებელ პერსპექტივებს. პარტიულ ორგანიზაციებში, მშრომელთა კრებებზე და პრესაში პროექტის განხილვა იწყება საყოველთაო პატრიოტული აღმავლობის ატმოსფეროში. ეჭვი არ არის, რომ ეს განხილვა მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალ მოზღვავებას გამოიწვევს.

საბჭოთა ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ახალი გრანდიოზული ამოცანების განხორციელება მათგან მოითხოვს დიდ შემოქმედებითს გარჯას, თავდადებულ აღმშენებლობითს შრომას. პარტია მოგვიწოდებს კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება შრომაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, უველაფერი ვიღონოთ, რათა მეათე ხუთწლედი გახდეს ეფექტიანობის ხუთწლედი, ხარისხის ხუთწლედი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ეს ყველასი და თვითეულის ღირსების საქმეა!

საბჭოთა ხალხი, რომელიც წარმატებით ამთავრებს მეცხრე ხუთწლეულის ვახტს, ისწრაფვის ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXV ყრილობას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულ მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ენერგია მოახმარონ ახალ სახელოვან საქმეებს მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

პარტია მტკიცედ მიგვიძღვის საიმედო გზით, ლენინური კურსით. და ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი სულ უფრო ამტკიცებს და ზრდის ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა მრავალმილიონიანი ოჯახის შემოქმედებითს ძლიერებას, მათს შეკავშირებას კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში!

პარტიის დიადი გეგმით

საქართველოს მშრომელები უდიდესი ყურადღებით სწავლობენ და მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“.

დღეს „კომუნისტი“ აქვეყნებს პირველ გამოხმაურებებს ამ დოკუმენტზე.

ტექნიკური პროგრესის გზით

რუსთაველ მეტალურგებს ახალ ამოცანებს უსახავს მეათე ხუთწლედი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს რომ გავეცანით, გადავწყვიტეთ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მეტალურგიული აგრეგატების წარმადობის ზრდას, მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვას, ახალი პროდუქციის ათვისებას, მართვის ავტომატური პროცესების შემუშავებას და ა. შ.

ავწონ-დავწონეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, გადავწყვიტეთ ხუთწლედის განმავლობაში აგლომერატის წარმოება გავზარდოთ 142 პროცენტით, თუჯისა — 55, ფოლადისა — 21, მზა ნაგლინისა — 14, მილებისა — 11,4 პროცენტით, ამასთან 17 პროცენტით გავდიდოთ სასაქონლო პროდუქციის გამოშვება, 14 კაპიკით შევამციროთ დანახარჯები ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე. მნიშვნელოვნად გაიზრდება რენტაბელობა და შრომის ნაყოფიერებაც.

მთავარი ყურადღება მიექცევა ხარისხისნაშენიანი პროდუქციის გამოშვების ზრდას იმ ანგარიშით, რომ მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის პროდუქციის 35 პროცენტი ხარისხის ნიშნით ვაწარმოოთ.

თუ წელიწადს ქარხანა დაგეგმილია 3,6 მილიონი მანეთის ზარალზე, მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის მოგებამ ათობით მილიონი მანეთი უნდა შეადგინოს. ეს ხელს შეგვიწყობს დამატებით გამოვყოთ 3 მილიონი მანეთი მუშათა კოლექტივების მატერიალური წახალისებისათვის. რენტაბელური მუშაობა იმის გარანტიას მოგვცემს, რომ მეათე ხუთწლედში ბენზმის გადამეტებით ავავშენოთ 3 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ხარჯსლოტატიკიდან გადავცეთ დასვენების ახალი კომპლექსი ბოლნისის რაიონში, 30 პროცენტით გავზარდოთ ქარხნის სასადილოებში დასაჯდომი ადგილები, ავაშენოთ სასათბურე მეურნეობის მეორე რიგი. მძიმე ფიზიკური შრომისაგან გამოთავისუფლდება 500 კაცზე მეტი, ახალ ხუთწლედში 15 პროცენტით გაიზრდება ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი.

ახლა ჩვენს საამქროებში ახალი ძალით ჩაღდება სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რამდენიმე დღეც და ქარხნის კოლექტივი, რომელიც სამი წლის წინათ ჩამორჩენილთა რიგებში იყო, ქვეყანას უპატაკებს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებას. დღეისათვის ეს გეგმა წარმოებულია 6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ო. სულაძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი.

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

დიდი გულმოდგინებით გავეცანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს XXV ყრილობისათვის. ეს პროექტი ჩვენი სახელმწიფოს, მთელი ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ხალხის შემდგომი ძლიერებისა და კეთილდღეობის დიდი დოკუმენტია.

მეცხრე ხუთწლედი ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებმა დიდი გადამტებით შეასრულეს. ამით საამაყო წვლილი შეიტანეს ქვეყნის ძლიერებაში, ეკონომიკურად განმტკიცებაში, წლეულს გადამტებით შეავსრულეთ მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. საფუძველი ჩავუყარეთ მომავალი წლის უხვ მოსავალს, აგროვადებში დავამთავრეთ საშემოდგომო თესვა.

ზემოქედილი კოლმეურნეები, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდი პასუხისმგებლობით გაეცნობიან ამ დოკუმენტს, და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაშიც საპატიო წვლილი შეიტანონ.

ა. კობაიძე,
წოლელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

წინასაყრილობო ვახტზე

ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ერთ-ერთმა პირველმა უპატაკა ხუთწლიანი გეგმის შესრულება, მის ანგარიშზე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია 3 მილიონი მანეთის პროდუქცია. ავტომობილმშენებლები ცამეტჯერ გამოვიდნენ გამარჯვებული საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მტკიცედ ინარჩუნებენ სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშას.

ახლა საწარმოში ფართოდ არის გაშლილი შეჯიბრება სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ შეჯიბრებას ახალი ენთუზიაზმი შემატა ახლახან პრესაში გამოქვეყნებული მეათე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების გაცნობამ. 1976-1980 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს რომ გაეცნენ, საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა კიდევ უფრო გაადიდოს ადრე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

სურათზე: ეს ახალგაზრდა ავტომობილმშენებლები გულდასმით გაეცნენ მეათე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებს და საუბრობენ თავიანთი კოლექტივის მომავალ ამოცანებზე; მარცხნიდან — ზეინკალი თემურ კვანტიძე, გამმართველი ამირან ვახტანგაძე, მეავტომატე გივი ქემოკლიძე, ხარატი ბადრი შუბითიძე და მხეხავი იური გეგეშიძე.

ბ. მირსამიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მილოცვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

14 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ მიიღო სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების VI ყრილობის მონაწილეები.

მილოცვაზე იყვნენ ოოგზის საბჭოთა კავშირის გმირი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ი. დ. პაპანინი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ი. პ. გერასიმოვი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, არქტიკისა და ანტარქტიკის ინსტიტუტის დირექტორი ა. თ. ტრეშნიკოვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ნ. სევეჩკა, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. ფ. დავითაია.

მეცნიერებმა ამხ. ე. ა. შევარდნაძეს გააცნეს სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების VI ყრილობის მუშაობის შედეგები და ქვეყნის გეოგრაფიული მეცნიერების ამოცანები იმ მითითებათა გადაწყვეტის საქმეში, რომლებიც დასახულია სკკპ XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“. აღინიშნა, რომ ყრილობამ მაღალ მეცნიერულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. ა. სეზნიაშვილი. (საქინფორმი).

სკკპ დელეგაცია კუბის კომპარტიის ყრილობაზე ჩავიდა

კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 14 დეკემბერს მოსკოვიდან ჰავანაში კუბის კომპარტიის პირველ ყრილობაზე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი (დელეგა

ბრძოლა გზაზე

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲒᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელშიც განიხილა საანგარიშო მოხსენებანი პარტიის რაიკომისა და რაიონის პარტორგანიზაციის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

გაიმართა პარტიის ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ლ. ი. მგალობლიშვილი, მეორე მდივნად — ს. ვ. ხატიაშვილი, მდივნად — ლ. მ. ვიბლიანი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. პაპარიძემ.

გაიმართა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ვ. ნ. გელაშვილი, მეორე მდივნად — გ. ხ. შულაროვი, მდივნად — მ. ა. გოჩალეიშვილი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის ქალაქის კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გ. გილაშვილმა.

გაიმართა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ნ. შ. ენდელაძე, მეორე მდივნად — ქ. ა. ლაცაბიძე, მდივნად — ვ. ი. ძურდიანი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ნ. ინასარიძე.

გაიმართა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ბ. დ. მახარაშვილი, მეორე მდივნად — ო. მ. გოცრელაძე, მდივნად — ჯ. ნ. ბახტაძე.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ქობულეთის რაიონის პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ.

გაიმართა პარტიის ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ბ. ს. ჯიქია, მეორე მდივნად — რ. კ. ბუნტაიშვილი, მდივნად — ნ. მ. დუმბაძე.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ტყვარჩელის საქალაქო პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. საყვარელიძემ.

გაიმართა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ბ. ვ. ადლეიბა, მეორე მდივნად — ნ. დ. მისოჩენკო, მდივნად — ნ. ი. ხარგელია.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ოჩამჩირის რაიონული პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ვ. შინაკუბამ.

გაიმართა ახლადარჩეული პარტიის რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ვ. მ. ცუბაა, მეორე მდივნად — პ. ლ. ძვაჩარხია, მდივნად — ე. ვ. ღვინჯილია.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ხელვაჩაურის რაიონული პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ა. ჯაშმა.

გაიმართა ხმლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ს. ჯ. ინაიშვილი, მეორე მდივნად — ი. მ. შერვაშიძე, მდივნად — ნ. ა. გუგუნავა.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ გორის საქალაქო პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების და სასწავლებლების განყოფილების გამგემ ე. ა. სეხნიაშვილმა.

გაიმართა ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ა. ნ. წიკლაური, მეორე მდივნად — ა. ი. ბერიანაშვილი, მდივნად — ნ. შ. კაბნიაშვილი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ კასპის რაიონული პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ო. გ. ვარაქელაშვილმა.

გაიმართა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ლ. მ. ისაკაძე, მეორე მდივნად — ვ. ი. ეპიტაშვილი, მდივნად — მ. ხ. ზარასპაშვილი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ხაშურის რაიონული პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა თ. გ. ფიოდოროვამ.

გაიმართა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ა. კ. გვარამია, მეორე მდივნად — ვ. ი. ერმაკინა, მდივნად — გ. უ. ბაწდაურიანი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ლანჩხუთის რაიონული პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ი. ა. ხარაბიშვილმა.

გაიმართა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ო. ი. ღლონტი, მეორე მდივნად — დ. შ. გოგუაძე, მდივნად — ბ. ა. გოგიჩაიშვილი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ახმეტის რაიონული პარტიული კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა გაზეთ „ხოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მ. დ. დავითაშვილმა.

გაიმართა ახლადარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ვ. ლ. ბაბიაშვილი, მეორე მდივნად — შ. ვ. ჯაფარიძე, მდივნად — ვ. ბ. შიომღვლიშვილი.

(საინფორმაციო).

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲒᲐᲕᲣᲬᲠᲗᲘᲡᲘᲚᲓᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ დაცვის საკითხებს ეხებოდა ნ. კეცხოველის წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. ამის გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. რთველიაშვილი რედაქციას ატყობინებს:

ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს სავსებით შესაძლებლად მიაჩნია რესპუბლიკის ცალკეულ მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოებდეს გადაშენების პირას მყოფი ხორცლინი, ვაზისა და სხვა ძვირფასი ჯიშების ერთეულ მეტარებზე მოყვანა.

ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი თავის მხრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად მომამზადებს წინადადებებს და რეკომენდაციებს საქართველოში გავრცელებული საკარანტინო-ხარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების დასახვისათვის და ადგილებზე განახორციელებს კონტროლს იმ უსაფრთხო ღონისძიებების დაცვაზე, რაც უზრუნველყოფს პეტიციდებით ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას.

მაღალმთიან ზონებში ხვნა-თესვის თავმინებების გამო ეროზიული პროცესები მართლაც ვითარდება.

კომიტეტის მიერ შემოწმებული მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომელშიც ის საკითხებიც არის აღნიშნული, აკადემიკოსი ნ. კეცხოველი რომ წერს თავის წერილში.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲠᲓᲒᲔᲛᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ Ა. ᲨᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ

ᲐᲛ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებულია ოკო რაჭის სამთომეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში არსებული ჩამორჩენები. პარტიის ამბროლაურის რაიკომმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად პარტიის ამბროლაურის რაიონულმა კომიტეტმა, რაჭის სამთომეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელობასთან, მშენებელ ორგანიზაციებთან ერთად დასახა კონკრეტული ღონისძიებები ჩამორჩენის დასაძლევად. დაჩქარდა კომბინატის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები, წესრიგში იქნა მოყვანილი კოშკურა ამწე, შეირჩა მეორე მემანქანე.

ახლა ყოველდღიურად მშენებლობაზე 15-17 თვითმცლელი ავტომანქანა მუშაობს, თეორი დარიშხანის ქარხნის კორპუსის მშენებლობის დასაჩქარებლად დამატებით გამოყვეს ერთი ექსკავატორი. დამკომპლექტებელი ტემპით მიმდინარეობს მშენებარე ობიექტების სავენტილაციო არხების გაწმენდა და დანადგარების დამონტაჟება. რაჭის სამთომეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელობამ ელექტროსამონტაჟო სამუშაოებისათვის შემოზიდა საჭირო დანადგარების ნაწილი, შეალეწა საქმე შენობის გარეთა ფასადი, მიმდინარეობს კონუსური საკვამლის მშენებლობა.

კომბინატის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოების ნორმალურ მიმდინარეობას ჯერ კიდევ ხელს უშლის მოიჯარადრე ორგანიზაციების მიერ სამშენებლო მასალების დაგვიანებითა და დანაკლისით შემოზიდვა, მუშახელის ნაკლებობა, ცუდი სატელეფონო კავშირი. ამ ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის მიღებულია საჭირო ზომები.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲘᲙᲐᲙᲣᲜᲐ

ᲛᲐᲡᲚᲝᲑᲠᲘᲕ რეიდის მასალაში — „ზამთარმა მოგვიკაკუნა“, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, მხილებული იყო ქალაქ ქუთაისში ზამთრისათვის მზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებები. ამის გამო პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ლ. დათიაშვილი რედაქციას წერს:

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ კს ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი „ზამთრისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ“. პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. დვალიშვილი. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზართლიანად მიიჩნიეს აღნიშნულ საკითხზე პლენუმის „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატიაში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, დაისახა სათანადო ღონისძიება არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

1975 — ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲬᲔᲚᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს ორგანო გაზეთი „სოვეტონ ირისტონი“ (რედაქტორი პ. თედეევი) ქალის საერთაშორისო წლის გამო თავის ფურცლებზე პერიოდულად ბეჭდავს მასალებს ოლქში მომუშავე ქალთა საბრძოლო და შრომითის თავდადებაზე.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ წლეულს 14 ნოემბრის ნომერში მოთავსებული მასალები, რომელიც მთლიანად მიძღვნილია ქალის საერთაშორისო წლისადმი.

— დიდება საბჭოთა ქალებს! — ასეთი სათაური აქვს პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ვ. პატეევშვილის წერილს, რომელშიც ფართოდ არის მოთხრობილი ოსი ქალების თ. ალბოროვას, ე. ალეკოვას, ვ. ბესტაევას, კ. გალაკანოვას, ნ. გაბარაევას, ლ. გაზაევას და სხვათა მამაცური ბრძოლა სამამულო ომის პერიოდში. სტატიაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ოლქში მომუშავე ქალთა 70 პროცენტზე მეტი ენერგიულად შრომობს საწარმო-დაწესებულებებში, მრავალი მათგანი ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებშია არჩეული.

გაზეთის მეორე და მესამე გვერდებზე გამოქვეყნებულია ოსეთში მომუშავე ქალების წერილები და ფოტოსურათები, კერძოდ, აქ დაბეჭდილია ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მოწინავე მწყალავების ზამირა, ასიათ, თამარ თუალევებისა და მანია დრიაევას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ზინაიდა ჯიკაევას, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ეფემია გუკაევას, ლენინგორის რაიონის წინგრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ქუჟუნა ელკანოვას, მწყალავ მუშის ნინა ბიგულაევას, ქალაქ ცხინვალის ფაბრიკის მუშის ალექსანდრა ალბოროვას, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორის სოფიო ბეკოევას და სხვათა ფოტოსურათები, წერილები, რომელთა საშუალებით მკითხველი ეცნობა ამ წერილების ავტორთა წარმატებებს, შრომითს საჩუქრებს, რომლებითაც ხვდებიან სკკპ XXV ყრილობას.

ᲡᲡᲠ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის წინაშე დადებ ამოცანები დგას ომსათან დაკავშირებით, რომ სკკპ XXV ყრილობისათვის უნდა მოამზადოს სპეციალური თემატური გამოფენები, დათვალიერებები და ექსპოზიციები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის მიერ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგებს და მეათე ხუთწლედის პერსპექტივებს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა 12 დეკემბრის სხდომაზე დაამტკიცა სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების ღონისძიებათა გეგმა.

„ცენტრალურ“ პავილიონში გახსნილი ეკსპოზიცია „ყრილობიდან ყრილობამდე“ ეძღვნება პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, მეცხრე ხუთწლედში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად შედეგებს. მზადდება ოთხი თემატური გამოფენა უმნიშვნელოვანეს საერეინიერო-ტექნიკურ პრობლემებზე.

გამოფენის დამთვალიერებლები გაეცნობიან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევებს, ახალ ტექნიკას და პროგრესულ ტექნოლოგიას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გამოცდილებას. ექსპოზიცია ასახავს აგრეთვე მრეწველობის, სამშენებლოს, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სასოფლო მშენებლობის წარმატებებს.

სოფლის მეურნეობის პავილიონების სტენდები მიეძღვნება ამ დარგის შემდგომი ინტენსიფიკაციის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმოების შინაგანი რეზერვების მობილიზაციას სამრეწველო საფუძველზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის ამოცანათა პრაქტიკული გადაწყვეტისათვის. ასალი ეკსპოზიციები გაიხსნება სახალხო განათლების განყოფილებაში.

თემატური გამოფენების, დათვალიერებებისა და ეკსპოზიციების ბაზაზე მოეწყობა 300-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია, სემინარი, კურსები, სკოლები და შეხვედრები გამოცდილების გაზიარებისა და წარმოების მოწინავე მეთოდებისათვის სპეციალისტთა სწავლების მიზნით.

(საკდესის კორ.).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

15 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი პ. გილაშვილი შეხვდა საქართველოში სლოვენიის ლიტერატურის დღეების მონაწილეებს. შეხვედრაზე იყვნენ პოეტი, პრეშერნის სახელობის პრემიის ლაურეატი ტ. პავჩეკი (სლოვენელ მწერალთა დელეგაციის მეთაური), პოეტები ბ. მოგრმწნელები ი. მენარტი, ი. მინატი, მ. კრავოსი, ტ. კუნტნერი.

მხატვრული სიტყვის სლოვენელ ოსტატებთან ერთად ეყვნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ნონეშვილი, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი ჯ. ჩარკვიანი, მწერალი რ. მიმინოშვილი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის უცხოთის კომისიის კონსულტანტი იუგოსლავურ ლიტერატურაში ი. ხარიტონოვი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გილაშვილმა დიდი ქმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველო არჩეულია სლოვენიის ლიტერატურის დღეების მოწყობის ადგილად. თბილისელები მოხარული არიან შეხვდნენ მოძმე ქვეყნის — სლოვენიის რესპუბლიკის წარმომადგენლებს. მისი დედაქალაქი ლუბლიანა საქართველოს დედაქალაქი თბილისი ხომ დაძმობილებული ქალაქები არიან — თქვა მან. ორი დედაქალაქის მშრომელები სისტემატიურად ერთმანეთს უცვლიან დელეგაციებს, უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას. საქართველოს დელეგაციას სლოვენიაში ყოფნის დროს დიდი სტუმართმოყვარეობა გაუწიეს. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ მეგობრობას და ყოველთვის მზად ვიქნებით ამ ურთიერთობის გაფართოებისა და გაღრმავებისა.

ამბ. გილაშვილი სტუმრებს ესაუბრა იმაზე, თუ როგორც ემზადებიან რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXV ყრილობისათვის.

თქვენი ჩამოსვლა ჩვენს რესპუბლიკაში, — თქვა ამბ. გილაშვილმა, ნათელი ფურცელია ორი ლიტერატურის მეგობრობის ისტორიაში. შეხვედრები ქართველ მკითხველებთან დაგვეხმარებიან კიდევ უფრო გავამდიდროთ ჩვენი კულტურები. ეს შეხვედრები ხელს შეუწყობენ ორივე ხალხების მწერალთა ნაწარმოებების ახალი თარგმანების გამოცემას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე სტუმრებს ესაუბრა საქართველოს დედაქალაქის განვითარების პერსპექტივებზე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ნ. გურგენიძემ სლოვენელ მწერლებს გადაუხადა მადლობა რესპუბლიკის ბევრი ორგანიზაციის სახელით საქართველოში სლოვენიის ლიტერატურის დღეების მოწყობისათვის.

მომდე ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს უთხრეს, რომ სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულმა“ საქართველოში სლოვენიის ლიტერატურის დღეებისათვის გამოუშვა კრებული „თანამედროვე სლოვენი პოეტები“. კრებულში დაბეჭდილია სლოვენიის პოეტთა ლექსები. რომლებიც თარგმნეს ი. ნონეშვილმა, მ. ლებანიძემ, კ. კალაძემ, რ. მიმინოშვილმა, ა. სულაკაურმა, ჯ. ჩარკვიანმა, ნ. კოლასონიამ, მ. ფოცხიშვილმა.

სლოვენელ მწერალთა დელეგაციის მეთაურმა პოეტმა ტ. პავჩეკმა დიდი ქმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშრებით, რომ შესაძლებლობა მიეცათ შეხვედრდნენ ქართველ მკითხველებს, თანამოკალმეებს. მან დიდი მადლობა გადაიხადა გულითადი, ძმური მასპინძლობისთვის, რომელიც საქართველოში გაუწიეს. (საქინფორმი).

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲐᲛᲘᲐᲕᲐᲚᲘ წლის უხვ მოსავალს ახლა ეყრება საფუძველი. გაჩალებულია საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. ამ მხრივ აღსანიშნავია „საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის რაიონული გაერთიანების კოლექტივის მუშაობა. გაერთიანება რაიონის 6 საბჭოთა მეურნეობას და 7 კოლმეურნეობას ემსახურება და დიდ დახმარებას უწევს ტექნიკის მომზადებაში. გაერთიანების მექანიზატორები საგაზაფხულო თესვისათვის მოამზადებენ 145 ტრაქტორს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

გაერთიანების კოლექტივი პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას და იმისათვის იბრძვის, რომ ტექნიკის შეკეთების ვალდებულება ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: „საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის გაერთიანების მთავარი ინჟინერი მ. რეხვიაშვილი (მარჯვნივ) და ელექტრიკოსი ზ. ალადაშვილი ბოლნისის მერძევეობა-მეხოსტენობის საბჭოთა მეურნეობაში ამოწმებენ ტრაქტორის შეკეთების ხარისხს.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ — ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

ᲡᲡᲠ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „ცენტრალურ“ პავილიონში გახსნილი ეკსპოზიცია „ყრილობიდან ყრილობამდე“ ეძღვნება პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას, მეცხრე ხუთწლედში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად შედეგებს. მზადდება ოთხი თემატური გამოფენა უმნიშვნელოვანეს საერეინიერო-ტექნიკურ პრობლემებზე.

გამოფენის დამთვალიერებლები გაეცნობიან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიღწევებს, ახალ ტექნიკას და პროგრესულ ტექნოლოგიას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გამოცდილებას. ექსპოზიცია ასახავს აგრეთვე მრეწველობის, სამშენებლოს, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სასოფლო მშენებლობის წარმატებებს.

სოფლის მეურნეობის პავილიონების სტენდები მიეძღვნება ამ დარგის შემდგომი ინტენსიფიკაციის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წარმოების შინაგანი რეზერვების მობილიზაციას სამრეწველო საფუძველზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის ამოცანათა პრაქტიკული გადაწყვეტისათვის. ასალი ეკსპოზიციები გაიხსნება სახალხო განათლების განყოფილებაში.

თემატური გამოფენების, დათვალიერებებისა და ეკსპოზიციების ბაზაზე მოეწყობა 300-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია, სემინარი, კურსები, სკოლები და შეხვედრები გამოცდილების გაზიარებისა და წარმოების მოწინავე მეთოდებისათვის სპეციალისტთა სწავლების მიზნით.

(საკდესის კორ.).

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი

ფიქრები შახტის მოპაპალზე

ამ კვირაზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ვეტეხი სვანეთის ტყიბულის საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატად აირჩია.

დიდი ნდობა გამოუცხადეს, როგორც კომუნისტს და როგორც მეშახტეს. ამ დღეებში არაერთხელ ჩავფიქრებულვართ და ვეკითხებოდით: — რით ვხდებით ქალთან ერთად კომუნისტთა მოახლოებულ ფორუმს, რას მიაღწია ორმოცდაათ სახელობის შახტის კოლექტივმა? რა გავაკეთეთ და რა ვაკეთებ მომავალში გასაკეთებელი? ხუთწლედის ფინიშს ჩვენი კოლექტივი მაღალი შრომითი მაჩვენებლებით ამთავრებს. შახტმა ინერგეტიკული ქვანახშირის მოპოვების ხუთწლიანი გეგმა ვადაზე ადრე, 18 ოქტომბრისათვის დასრულა. გეგმის გადამტკიცებით ნაშობლომ მიიღო 100 ეშელონი ქვანახშირი. გეგმასთან შედარებით თვითეული მეშახტის შრომის ნაყოფიერება 2,5 პროცენტით გაზარდა. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულია 10 კაპიკით, რის შედეგადაც ეკონომიური მოგების სახით მიღებულია 205 ათასი მანეთი. შრომითის ფრონტზე ბევრმა ჩვენმა ოლეგამ ისახელა თავი. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სამთო მოსამზადებელი გამონამუშევრების გაყვანის ბრიგადა ოსტატი, სსრ კავშირის მაღალი სახელოსანი საბჭოს დეპუტატი ეფიმი სვანძე.

კარგად იმუშავა მეშახტეთა კომუნისტური შრომის იმ ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები ერთერთი პირველნი გამოეხმაურნენ ორეკლიან მეშახტეთა პატრიოტულ ინიციატივას და იკისრეს ოქმში თვითეულს ნორმის ზემოთ ამოღონ სულ ცოტა 2 ტონა ქვანახშირი. მათი თაოსნობა ეროონა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ბრიგადის წევრებმა ბრძოლა შეასრულეს. დამკვიდრ-ლური შრომით მოპოვებულმა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ბრიგადის თვითეული წევრი ცვლაში ნორმის გადამეტებით 67 ტონა ქვანახშირს იღებს, ე. ი. სამჯერ მეტს, ვიდრე ამას სოციალისტური ვალდებულება ითვალისწინებდა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო წლეულს ბრიგადამ ნორმის გადამეტებით 21 ეშელონი მაღალხარისხოვანი სათბობი ამოიღო და ამჟამად 1978 წლის ოქტომბრის ანგარიშში მუშაობს.

ის, რასაც გუშინ მივალწიეთ, დღეს არ გვაკმაყოფილებს, კიდევ უკეთ უნდა ვიმუშაოთ ახალ, მეათე ხუთწლედში, ერთობლივად დავსახოთ უფრო მაღალი ზღუდეები.

მაგრამ ბევრი რამ გვაფერხებს, ხელს გვიშლის. სამწუხაროა ის არის, რომ მთელი რიგი პრობლემების დაძლევა, რაც ჩვენ გვაღელვებს, ჩვენზე როდია დამოკიდებული.

პირველი ხელისშემშლელი მიზეზი უხარისხო მომნგრევი ჩაქუჩებია. ეს იარაღი მნგრეველის განუყოფელი თანამგზავრია. მის ნორმალურ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მნგრეველის ნაყოფიერი შრომა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სამამულო მრეწველობა ვერ გვამარაგებს მაღალეფექტური ჩაქუჩებით. მათ მაღალ უფუჯდებათ ე. წ. დამტკიცებული დეტალები და მწყობრიდან ნაადრევად გამოდიან. არც ამ იარაღის სათადარიგო ნაწილებით ვართ განებივრებული, რომ ჩაქუჩი დროულად შეკეთდეს.

შახტი კარგად მარაგდება შეკუშშული ჰაერით მოუშაავე პერფორატორებით, მაგრამ მათ არ მოპყავთ ე. წ. ჰიდროდამჭერი დაზგები. უიმისოდ კი ძმიმე, ორმოცკილოგრამიანი იარაღის გამოყენება ერთობ ძნელია. მუშაობის პროცესში იგი მეტისმეტად ღლის გამყვანს, იმცირებს მის შრომის ნაყოფიერებას.

სანგრევის ეფექტიანობის ამაღლების კიდევ ერთ-ერთ დიდ რეზერვად ე. სვანძეს და ყველა ჩვენთაგანს მაღალი წარმადობის სამთო მანქანებისა და მექანიზმების დანერგვა მიგვაჩნია. ამ მხრივაც საქმე კარგად ვერ დგას. მართალია, ამ დღეებში მეოთხე საექსპლოატაციო უბანში დაინერგა ქვანახშირის მომნგრევი კომბაინი, რამაც დაიჩქარა სანგრევის წინსვლა, მაგრამ შრომის მაღალ ნაყოფიერებას მაინც ვერ მიაღწევს. საქმე ის არის, რომ კომბაინის მიერ ერთ საათში გამოღებული სივრცის გადამაგრებას ორი ცვლის დაძაბული მუშაობა სჭირდება. ჩვენი ახლანდელი მექანიზაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველია

სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა.

კონფერენციაზე მიიწვიეს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მეცნიერები, სპეციალისტები, სარეწველო საწარმოთა წარმომადგენლები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაკები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, მოსკოვიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

შესავალი სიტყვით კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

— მექანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის მკვეთრი ამაღლება, — თქვა მან, — მანქანებისა და აგრეგატების შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ რთულ გეოგრაფიულ პირობებში, ქართველ მეცნიერთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. თავისებური რელიეფი და ნიადაგურ-კლიმატური პირობები ხშირად აძნელებენ დიდგაბარიტიანი და მძიმეწონიანი ტექნიკის ეფექტიან გამოყენებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის მეცნიერებს ამოცანად დაუსახა შექმნან ისეთი მანქანები, რომლებიც წარმატებით შეასრულებენ სასოფლო-სამეურნეო ოპერაციებს რთული რელიეფისა და ფერფლიანტურული ნაკვეთების პირობებში. ამით მკვეთრად გაიზრდება სოფლის შრომელთა შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდება შრომის პირობები.

მოისმინეს საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ზ. ა. ხანთაძის, ამ ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგის კ. ა. დიდებულიძის, ინგირის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ნ. ქანთარიას, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის ნ. პ. ჯინჯიხაძის, საბჭოთა კავშირის სამთო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თ. გ. ნაზარიშვილის მოხსენებანი.

მოხსენებებსა და სექციებში გაკეთებულ მეცნიერულ ინფორმაციებში აღინიშნა, რომ საჭიროა შეიქმნას ახალი ტექნიკური საშუალებანი მეცხოველეობაში, მეფრინველეობაში, მეგვახეობაში, მებადეობაში, მეციგრულეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისათვის, სეროული ტექნიკის მოდერნიზაციისა და ადგილობრივ პირობებთან მისი მომარჯვებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ აქტუალურია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვის ავტომატიზაციის საშუალებათა შემუშავება.

კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს მეცნიერული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ თანამედროვე ტექნიკის შექმნასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ზ. ბარსუკოვი. (საქინფორმი).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ სფსრ მწერლების IV ყრილობას, რომელიც 15 დეკემბერს გაიხსნა კრემლის დიდ სასახლეში, სამართლიანად შეგვიძლია ვუწოდოთ „ლიტერატურული ხუთწლედის“ შემოქმედიერების პატაკი. ყრილობის სტუმრად მორის არიან მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების დელეგაციები, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, ხელოვნების ოსტატები, მეგობრები, პარტიული და საბჭოთა მეშაკები, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მეომრები.

ელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ვ. ვ. გროსმანს, ა. ბ. კირილენკოს, თ. დ. ოსკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. ბეგს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პოლევოიეს, მ. ს. სოლომონცევს. ... ადგილი აღფრთოვანებით აირჩინა საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ... ბრეჟნევის მეთაურობით.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲨᲘ

სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები ფართოდ განმარტავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“. მომმე სოციალისტური ქვეყნების პრესა ამ დოკუმენტს იხილავს როგორც საბჭოთა კავშირის შემდგომი პროგრესის ვრცელ რეალისტურ პროგრამას, რომელიც შეესაბამება ხალხთა ძირეულ საარსებო ინტერესებს.

ᲞᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠᲘ „ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲚᲣᲓᲣ“ წერს, რომ ახორციელებს რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, გადადგა ახალი დიდი ნაბიჯი კომუნისტური მშენებლობის გზაზე. **„ᲖᲘᲠᲘ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ“** აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის გამოქვეყნება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲣᲠᲘ გაზეთები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს ახასიათებენ, როგორც „სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის ახალი ეტაპის დიდებულ პროგრამას“, „უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც საბჭოთა საზოგადოებრიობის განსახილველად არის გამოტანილი“. **„ᲠᲣᲓᲔ ᲞᲠᲐᲒᲘᲡ“** ამ დოკუმენტის გამოქვეყნება მიაჩნია მოვლენად, რომლის მნიშვნელობა შორს სცილდება საბჭოთა კავშირის ფარგლებს.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „ᲣᲜᲘᲢᲐ“ წერს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად ამოცანებში პროექტით გათვალისწინებულია სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცება. მომავალ ხუთწლეულში, წერს გაზეთი, საქონელბრუნვა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საბჭოს ფარგლებში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

„საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება 1976-1980 წლების მეათე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანაა“, — ხაზს უსვამს **ინგლისური „ᲛᲝᲠᲜᲘᲜᲒ ᲮᲐᲢᲐᲠᲘ“**. კაპიტალისტური ქვეყნის რომელ მთავრობას შეუძლია ილაპარაკოს განვითარების ისეთ მასშტაბზე, რომელიც საბჭოთა ხუთწლიან გეგმაშია დასახული? — სვამს კითხვას გაზეთი. „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარების პროექტი ბრიტანეთის მრეწველობას უდიდეს შესაძლებლობას უსახავს საბჭოთა კავშირთან ხელსაყრელი ვაჭრობის განვითარებისათვის.

„მეათე ხუთწლედის ძირითადი ამოცანაა საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობა, საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური განვითარება და მისი ეფექტიანობის ამაღლება“, — წერს **ფრანგული „ᲚᲣᲛᲐᲜᲘᲢᲔ“**. გაზეთი აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი ითვალისწინებს ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის გადიდებას 20-22 პროცენტით, ყველა კატეგორიის მშრომელთათვის ხელფასის შემდგომ მომატებას,

ᲘᲜᲓᲣᲠᲘ „ᲞᲔᲢᲔᲠᲘᲝᲢᲘ“ ხაზს უსვამს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი ითვალისწინებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მუშაობის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, არსებული რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ძლევამოსილი განვითარებისა და წარმატებული საგარეო პოლიტიკისათვის ამ დოკუმენტის უაღრესად დიდ მნიშვნელობას აღნიშნავს **იაპონური „ᲡᲐᲜᲙᲔᲘ ᲡᲘᲛᲑᲣᲜ“**.

„ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜ ᲞᲝᲡᲢᲘ“ აცხადებს, რომ „პროექტის წამყვანი თემაა ცხოვრების გაუმჯობესება საბჭოთა კავშირში, რაც ქვეყნის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი გახდა. სოფლის მეურნეობაში დიდი კაპიტალდაბანდებებს, ფართო ტექნოლოგიური გაუმჯობესებისა და წარმოების ხარისხისა და ეფექტიანობისადმი განსაკუთრებული ყურადღების მეოხებით საბჭოთა კავშირი აპირებს კიდევ უფრო ამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების დონე“.

(საკლესი, 15 დეკემბერი).

15 დეკემბერი

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲜᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲡᲐᲭᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. (საკლესი). ესპანეთის საზოგადოებრიობა კვლავ მოითხოვს გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი და ქვეყანაში განსახორციელონ დემოკრატიული გარდაქმნები.

250-ზე მეტმა მადრიდელმა იურისტმა, წერს გაზეთი „ნუევო დიარიო“, განაცხადა, რომ საჭიროა ამნისტია გამოუცსადონ ყველა პოლიტიკურ პატიმრის და განსარიელონ ქვეყანაში საშინაო-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია. იურისტები მიიჩნევენ, რომ ესპანელებს მიენიჭოთ ადამიანის ძირითადი უფლებანი, კერძოდ, „ლეგალიზებულ იქნეს უკლებლივ ყველა პოლიტიკური პარტია, მუშებისა და მოსამსახურეების მიენიჭოთ პროფკავშირული თავისუფლება და მანიფესტაციის უფლება.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲝᲛᲑᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკლესი). **ამერიკელ მშრომელთა გაზეთი „დეილი უორლდი“ გადაჭრით გმობს ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებას სახაროვისათვის პრემიის მინიჭების შესახებ.**

სახაროვის სიტყვები და საქმენი მიმართულია მშვიდობის წინააღმდეგ, დაძაბულობის შენელების, სოციალიზმის წინააღმდეგ, წერს გაზეთი. იმ დროს, როცა დასავლეთის სულ უფრო მეტ სახელმწიფოს გამოაქვს დასკვნა, რომ დაძაბულობის შენელება ატომური კონფრონტაციის ერთადერთი ალტერნატივაა, ამ ყბადაღებულ „მშვიდობის მებრძოლს“ მიაჩნია, რომ დაძაბულობის შენელება ბოროტებაა.

სახაროვი სავსებით უჭერს მხარს დასავლეთგერმანელ ფაშისტთა მოთხოვნებს „გერმანიის გაერთიანების“ შესახებ, რაც სამდეგილში ნიშნავს მოწოდებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური სახელმწიფოს ლიკვიდაციისათვის, აღნიშნავს „დეილი უორლდი“. ისევე როგორც დასავლეთგერმანელი რევანშისტები, იგი ეწინააღმდეგება ჰელსინკის თათბირის გადაწყვეტილებას ევროპის საზღვრების შეუვალობის შესახებ. მთელი ევროპა ეთანხმება ამას, რევანშისტები და სახაროვი კი არ ეთანხმებიან.

თავისი პოლიტიკური შეხედულებებით ნობელის პრემიის მფლობელი სოციალიზმის მოწინააღმდეგეა, — წერს შემდეგ გაზეთი. იგი მოითხოვს სოციალიზმის მოსპობას სამხედრო გზით და შეიდრო სამხედრო კავშირისათვის მოუწოდებს დასავლეთის ქვეყნებს. თავის ნაწერებში იგი აღგენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „პირველი დარტყმის უბარტესობის“ გეგმას. სახაროვის მიზანი ნათელია, მას სურს ძირი გამოუთხაროს და დაანგრიოს სოციალიზმი, ხაზგასმით აღნიშნავს „დეილი უორლდი“.

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲝᲜᲜ. (საკლესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანომ ყოველკვირეულმა „ფორვერტსმ“ გამოაქვეყნა სპეციალური დამატება, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულების ხელმოწერის დროიდან.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ვ. ბრანდტის სტატიაში ხაზგასმულია, რომ ცივი ომის ხანგრძლივი წლების შემდეგ დაიწყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის პრაქტიკული თანამშრომლობის ერა. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა ამის მაგალითია. მოსკოვის ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად სამართლიანად უწოდებენ ისტორიულ მოვლენას, მისი ხელმოწერიდან ხუთი წლის განმავლობაში განუხრელად ხორციელდებოდა.

სტატიაში ლაპარაკია შეიარაღების შემცირების საჭიროებაზე. „საფუძვლი აშკარა, — წერს ვ. ბრანდტი, — რომ დაძაბულობის შენელების პროცესი შეიზღუდება და საბოლოო ანგარიშით შეჩერდება, თუ თვალსაწიერ მომავალში არ დაიწყო შეიარაღების შემცირება. ეს უაღრესად მძიმე ამოცანაა, რომლის გადაჭრაში შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ“.

საჭიროა გამოვიჩინოთ გაბედულება ისეთი პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც სამუდამოდ დაუხშობდა გზას ცივი ომის განახლებას, აღნიშნავს ვ. ბრანდტი.

ეხება რა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებს, იგი აღნიშნავს, რომ ამ თათბირის „არ შეეძლო ჯადოსნური ჯოხის აქნევით გადაეწყვიტა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში არსებული მრავალგვარი პრობლემები“, მაგრამ მიუხედავად ამისა თათბირის შედეგები აღიარების ღმასხურებენ. ძალაზე და ძალის გამოყენების მუქარაზე უარის თქმა საფუძველად დაედო ჩვენს ხელშეკრულებებს საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ყოველკვირეულში გამოქვეყნებულია ავგერეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის განცხადება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურიც აღნიშნავს მოსკოვის ხელშეკრულების დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას. „მან საშუალება მისცა ფედერალურ მთავრობას დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, რომლებთანაც მანამდე მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობა გვქონდა, — აღნიშნავს კანცლერი. — მას მოჰყვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებების დადება პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან“.

ურთიერთგაგებისა და ორმხრივი ურთიერთობის დარგში შეთანხმების ძირითადი პრინციპები, წერს შემდეგ ჰ. შმიდტი, ჰელსინკის თათბირზე ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის საფუძვლად გადაიქცა.

ეს სპეციალური გამოშვება იხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისამართით წერილით.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲬᲘᲠᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲕᲔᲗᲜᲘᲡ ᲠᲘᲗᲘ. ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲧᲝᲕᲚᲘᲡ ᲮᲚᲐᲠᲑᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ

საქართველოს რაიონებში

საჩხერე

გვეტყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

რაც თვალს სიამოვნებს

ვისაც ცოტა ხნის წინათ უნახავს ქალაქი საჩხერე, ახლა ვეღარ იცნობს. თვალსა და გულს ესიამოვნება გემოვნებით რეკონსტრუირებული რკინიგზის სადგურის მოედანი, ლენინის, სტალინის, კალინინის და წერეთლის ქუჩები.

მოზაიკური ფილებით მოპირკეთდა რკინიგზის სადგურის ბაქანი, მოედანზე დაირგო ასწლოვანი ვერხვის ხეები და საკუთარი სარწყავი სისტემა გაუკეთდა თვითეულ მათგანს.

ეროვნული კოლორიტია ჩაქსოვილი ქუჩების საყრდენი კიდლების არქიტექტურული კოლონების შექმნაში. მომხიბვლელია გემოვნებით ნაგები წყლის კივუეტები, ეზოების შესასვლელები, მოხდენილ ადგილებზე აგებული ძველი ქართული მრგვალი კოშკების მსგავსი დეკორაციული ნაგებობები.

მოდით, ნახეთ

ქალაქ საჩხერეს დაპყურებს ისტორიული ციხე-სიმაგრე — „მოდინახე".

მომავალი ზაფხულიდან მის დიდებულ გალავანში 400 ბავშვი დაისვენებს. ახალი „საბავშვო ქალაქის" სამი კორპუსის შენებლობა უკვე დასრულდა. სეზონის დაწყებამდე დამთავრდება სამეურნეო დამხმარე ნაგებობათა და სპორტული მოედნების შენებლობა.

ცადაზიდული ციხე-სიმაგრის ბუნებრივი მდებარეობა საჩხერის ტელევიზიის შენებლობისთვის გამოიყენეს. ახალი ტელერეტრანსლატორი 47 მეტრის სიმაღლისა იქნება და ტელეგადაცემების სრულყოფილ გამოსახულებას მიიღებენ რაიონის რთული გეოგრაფიული მდებარეობის სოფლები.

ქალაქს შეემატება

მომავალ ხუთწლედში აიგება ტრიკოტაჟის ბამბის სართავი ფაბრიკა, რომელსაც ექნება სამდებრო-მერსერიზაციის და ვატინის საამქროები. ახალ საწარმოში დასაქმებული იქნება 1.200 მუშა. იგი წლიურად გამოუშვებს 5.540 ტონა ნართს და მილიონობით კვადრატულ მეტრ ქსოვილს.

მომავალი საწარმოს მთავარი კორპუსი 280 მეტრის სიგრძისა იქნება. კომპლექსში შედის 5-სართულიანი ადმინისტრაციული სახლი 250-ადგილიანი კლუბით და 200-ადგილიანი სასადილოთი. აქვე აიგება მუშათა საცხოვრებელი სახლები, 140-ადგილიანი ბაგა-ბაღი და სხვა დამხმარე ნაგებობები.

პროექტის შედგენის სამუშაოები დამთავრდა. გაისიდან მშენებლობა დაიწყება.

სანახაობათა ცენტრი

მდინარე ყვირილის მარჯვენა სანაპიროზე გადაშლილი კომკავშირის ხეივანი ქალაქის მცხოვრებთა საყვარელი ადგილი გახდა. ტანაშოლტილი ვერხვების, ალვებისა და ჭადრების დაბურულ ტვრეში მოეწყო ლამაზად გაფორმებული გაზონები, სასეირნო გზები, სკვერები და დღის სინათლით განათება.

აქ უკვე დამთავრდა 700-ადგილიანი საზაფხულო ესტრადის მშენებლობა.

უახლოეს მომავალში კომკავშირის ხეივანში აიგება პიონერთა სასახლე და კორდიდრომი ნორჩი ავიამოდელისტებისათვის.

კოეტის სკოლ-მუზეუმში

სარეხტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს აკაკის სახლ-მუზეუმში და სოფელ სავანეში მდებარე ძიძისეულ კარიდიდმოში. პირვანდელი სახით იქნება აღდგენილი ყველა შენობა და დამხმარე ნაგებობა.

ცვლილებები მოხდა საგამოფენო დარბაზშიც. ახალი ექსპოზიცია აკაკის წარმოდგენს, როგორც ხალხთა სოლიდარობის დიდ მომღერალს. ექსპონატები მნახველთ აცნობს რუს, აზერბაიჯანელ, სომეხ, უკრაინელ და სხვა ეროვნების მწერლებთან და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან პოეტის ურთიერთობას.

სახლ-მუზეუმმა შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყარა ტ. შევჩენკოს სახელობის კანევის სახლ-მუზეუმთან და მოწყობილია ამ ორი მომღერლის ურთიერთობის ამსახველი სპეციალური კუთხე.

გამოჩენილ მეცნიერთა ლექციები

ა. ფერეთლიხ სახლ-მუზეუმთან შექმნილია კულტურის სახლთა უნივერსიტეტი, ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკულტეტებით.

მასში გაერთიანებულმა რაიონის ინტელიგენციამ უკვე მოისმინა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა საინტერესო ლექციები.

უნივერსიტეტის მსმენელების წინაშე აქ გამოვიდნენ აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი, პროფესორები დ. ეზუქიძე, ო. ეგაძე, ირ. ცაცანაშვილი, კ. ჩხეიძე, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი მ. გუგუშვილი და სხვა მეცნიერები.

ო. ნიქაბაძე.

თანასოფლელები ასახელა

ამხედრო - საზლვაო ფლოტში სამსახურისათვის მთელმა სოფელმა გააცილა კოლმეურნე თამაზ ხურმანიძე.

ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის მკვიდრმა — შავზღველმა თ. ხურმანიძემ ახახელა თანასოფლელნი. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სარდლობამ იგი მოკლევადიანი შვებულებით დააჯილდოვა.

კომკავშირელი თამაზ ხურმანიძე, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ თანამემამულენი, ამას წინათ მათთან ერთად მონაწილეობდა შრომის დღესასწაულში.

სუპათზე: ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის უხუცესი მცხოვრები მამულ ჩხიკვაძე და საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი თამაზ ხურმანიძე.

ნ. ანასტასიძეის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გეოგრაფთა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

13 დეკემბერს თბილისში მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების მე-6 ყრილობამ.

სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტად კვლავ არჩეულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ვ. კალესნიკი.

მთელი რიგი საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები არჩეული არიან სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრებად.

საბჭოთა გეოგრაფიისა და სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე დიდი დამსახურებისათვის საზოგადოების საპატიო სიგელები გადაეცათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს თ. ფ. დავთაიას, პროფესორ ა. თ. ასლანიშვილს, სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების სწავლულ მდივანს ლ. ი. სენნურას.

ყრილობამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მისმა მონაწილეებმა აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ საბჭოთა გეოგრაფები მთელ შემოქმედებით ძალას და შესაძლებლობებს მოახმარენ საბჭოთა მეცნიერების წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების შესრულებას, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXV ყრილობას და თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მეათე ხუთწლედში.

(საქინფორმი).

რამდენი ვიქნებით 2.000 წელს?

სსრ კავშირის მოსახლეობა 2000 წელს შეადგენს დაახლოებით 320-325 მილიონს. 21-ე საუკუნის დამდეგს ქვეყნის მოსახლეობის სულ ცოტა სამი მეოთხედი იცხოვრებს ქალაქებსა და ქალაქურ ტიპის დასახლებებში. ეს ადინშნა სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების VI ყრილობაზე, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა.

რით ხასიათდება ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფია თანამედროვე ეტაპზე? ხალინფორმის კორესპონდენტმა ხთხოვა ამ კითხვაზე ეპასუხა ერთ-ერთ თვალსაჩინო საბჭოთა დემოგრაფს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს ო. კონსტანტინოვს.

— ქვეყანაში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მოსახლეობის როლი უსაზღვროდ იზრდება, — თქვა მეცნიერმა. ადამიანი ხდება საზოგადოებრივი კვლავწარმოების არა მარტო მოქმედი პირი, არამედ თვით ამ რევოლუციის ტენდენციების „მატარებელიც".

საბჭოთა კავშირის ომისშემდგომი პერიოდის დემოგრაფიულ სიტუაციას დიდი დინამიკურობა ახასიათებდა. მოსახლეობის მატების მკვეთრი აღმავლობის შემდეგ მისი საშუალო წლიური ტემპი სტაბილიზებული გახდა 50-იანი წლების დამდეგს. 1960 წლიდან შობადობამ დაკვეთეთება იწყო. ეს პროცესი დაახლოებით 8 წელს გრძელდებოდა. უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის მანძილზე კვლავ იგრძნობა მატების სტაბილიზაცია, მაგრამ უკვე არა მაღალ, არამედ საშუალო დონეზე.

დემოგრაფიის ხასიათით სსრ კავშირში შეიძლება გამოვყოთ რაიონების სამი ჯგუფი — მოსახლეობის მკვრივ, საშუალო და დიდი ბუნებრივი მატების რაიონები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება რუსეთის სფსრ ძირითადი ნაწილი, უკრაინა, ბელორუსია და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები; მეორეს — საქართველოს და მოლდავეთის სს რესპუბლიკები, მესამეს კი — შუა აზიის რესპუბლიკები. გარდამავალი მდგომარეობა უკავია ყაზახეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთის სს რესპუბლიკებს, აგრეთვე რუსეთის სფსრ ზოგიერთ ავტონომიურ რესპუბლიკას.

შუა აზიის რესპუბლიკებში შობადობის მაღალი დონის შენარჩუნების ძირითადი პირობაა მრავალშვილიანობის ჯერ კიდევ ძლიერი ტრადიციები. ამის გამო შუა აზიის ქალაქებსა და სოფლებში იშვიათია ოჯახის რეგულირება. ამავე დროს პირველი ჯგუფის რესპუბლიკებში ასეთმა რეგულირებამ ფართო ხასიათი მიიღო. ამას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ურბანიზაციის სწრაფმა ტემპმა და მოსახლეობის დიდი მიგრაციამ. მაგრამ ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში ოჯახის რეგულირება უფრო ხშირი იქნება შუა აზიის ბევრ რაიონშიც. მოსალოდნელია შობადობის მანკვენებლის გარკვეული გადიდება რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

რიცხობრივ ზრდასთან ერთად 2000 წლისათვის დიდი ცვლილებები მოხდება მოსახლეობის შემადგენლობაში. ახალ დემოგრაფიულ სტრუქტურას მოჰყვება უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის გადიდება, რაც არ ნიშნავს მოსახლეობის „ფიზიკურ დაბერებას". მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში იცვლება ადამიანთა შრომის ხასიათი, ისინი თავისუფლდებიან ძძიმე ფიზიკური შრომისაგან. შრომის პროცესებს მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ცხოვრების პირობებს მკვეთრი გაუმჯობესება დაბერებას მიაკუთვნებს შედარებით უფროს ასაკობრივ ჯგუფებს; სულ უფრო მეტი ხასიათმჭიანი შედეგებს საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობას.



ბეკატრის ჯოტერის ზღაპრები

ამ ლამაზ, მუსიკალურ ფილმ-ზღაპარში ყველა ცეკვავს: კეთილი მეთევზე, ჭალბატონი ტიგი უინკლი, ჭობის იხვი, მსუნაგი ციყვი, პრანჭია თაგუნები და, წარმოდგენენ, ღორმუცელა გოჭებიც კი ცეკვავენ სხვებთან ერთად ძველ კლასიკურ ბალეტს და თანამედროვე თავბრუ დამხვევ „ტვისტს". ფილმში როლებს ინგლისის საბალეტო თეატრის ცნობილი მსახიობები ასრულებენ. კინოსურათის ერთ-ერთი დამდგმელთაგანია ცნობილი ინგლისელი ბალეტმაისტერი ფრედერიკ ეშტონი. რეჟისორი — რეჟინალდ მოლსი. (ინგლისი).

ასი ლეი

დაუკითხავად მიატოვა მშობლების სახლი პეტრუემ. ბიჭი ფუფუნებას და პირმოთნეობას გაექცა. მას უფროსი ძმის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მაგრამ... ცნობილ მსახიობს ანდრე პანციას მხოლოდ პირადი კეთილდღეობა აფიქრებს. მას არ აინტერესებს, რით ცხოვრობს ან რა აწუხებს პატარა ძმას, ბიჭი კი გაბედულად ეძებს ადგილს ცხოვრებაში.

ფილმის რეჟისორია მ. ხუციანი, ოპერატორი გეორგე ტოდანი, როლებს ასრულებენ დ. ნუცუ, ი. დიკისიანუ, ილიანა პოპოვიჩი, ვ. ანდრეი. (რუმინეთი).

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 12

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჭადრაკი

რას მოგვიტანს ფინიში?

ქალთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

მეშვიდე ტურში სულ ორი პარტია დამთავრდა. ნორჩმა ნანა იოსელიანმა, რომელმაც ლამაზად წარმართა შეტევა, სძლია უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ კარაკაშნეს. ყაიმზე შეთანხმდნენ პიპაილიჩი და ხუგაშვილი.

მერვე ტურში კვლავ ისახელა თავი იოსელიანმა. კახაბრიშვილთან მანევრულ ბრძოლაში მას ზედმეტი პაიჯი დარჩა. ენდშპილში კახაბრიშვილი ზუსტად ვერ თამაშობდა და დამარცხდა. გურიელს ზედმეტი პაიჯი ჰქონდა ახშარუმოვასთან, მაგრამ მოსკოველმა თამაშიდან გამორთო მეტოქის კუ. გურიელი მძაფრ ციტნოტში მოხვდა, სადაც ვერ გამოიყენა კარგი შესაძლებლობები და დამარცხდა. მიხელი და პიპაილიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ. კარაკაშნე, რომელსაც ეტლი აკლდა, თამაშის განუსახლებლად დანებდა ჩიბურდანიძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას ჩიბურდანიძემ დამარცხა კახაბრიშვილი და ყაიმზე შეთანხმდა პოლანოვს. ჩინებულად ითამაშა წერეთელმა, რომელმაც მოუგო მიხელსა და ხუგაშვილს. გურიელმა დამარცხა კობაიძე და ყაიმზე შეთანხმდა რაიჰერს. ახშარუმოვამ მოუგო იოსელიანს, ხუგაშვილმა და კობაიძემ დაამარცხეს კარაკაშნე.

8 ტურის შემდეგ 6 ქულით პირველ ადგილზეა ახშარუმოვა. მასზე თითო თამაშით ნაკლები ჩაატარეს ჩიბურდანიძემ და წერეთელმა, ორივე ქართველ მოჭადრაკეს შვიდი თამაშიდან ოთხნახევარი ქულა აქვს.

გულკო „არავის ინდოგს"

ახლა, როდესაც ერევანში საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის დამთავრებას 4 ტურიღა აკლია, პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტად უდავოდ გულკო უნდა ჩაითვალოს. მეათე ტურში გულკომ სძლია ბალაშო